# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


ამ ნომერში რვა გვერდია


## სასწავლებელი და პანსიონი

**ი. რ. მრევლიშვილისა**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, კარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—13)


ტფილისი, 17 ოქტომბერი

დიდი ხანია როგორც ევროპასა, ისეც რუსეთში ლაპარაკია იმაზედ, რომ ყმაწვილები მეტის-მეტად იქანცებიან, იღლებიან ეხლანდელ სასწავლებლებში, მეტის-მეტად ბევრს ირჯებიან გონებითა და აგებულებით, ჯანით-კი უღონდებიან, უძლურდებიან. ეს გადაჭარბებული, გადამეტებული ჯაფა და ვარჯიში გონებისა და თითქმის სრული უვარჯიშობა და გაურჯელობა ჯანისა და აგებულებისა, ეს მეტ-ნაკლებობა იქ, საცა ერთი მეორეზედ განუყრელად დამოკიდებულია ბუნებითად, არსებითად, საცა სიკეთე და სისრულე ერთისა წარმოუდგენელია უმეოროდ, იმითი თავდება, რომ გონებასაც ღონე უდუნდება, სიცხოველე, მკვირცხლობა, მჭრელობა აკლდება და ჯანი და აგებულება ხომ იხუთება და ილახება.

ამის მიზეზს ყველანი იმას აბრალებენ, რომ ეხლანდელ სასწავლებლებში მეტად უყურადღებოდ დაგდებულია ჯანისა და აგებულების ვარჯიშობა და წრთვნა. ეხლანდელ სკოლებში თითქმის მთელი დრო მოზარდისა გონების გახსნასა და ცოდნის შეძენას უნდება, ტანი, აგებულება, ჯანი-კი რჩება შემთხვევის ანაბარად, მოუვლელად და განუვითარებლად. თითქო დავიწყებულიაო, რომ ადამიანის სისრულე სულ-ხორცის თანაბარ სისრულეზეა დამყარებული, რომ ხორცსაც, ესე იგი, ჯანსა და აგებულებას მოზარდისას იმოდენავე მოვლა, პატრონობა, წრთვნა და ხელის შეწყობა უნდა, რამოდენადაც სულსა, ესე იგი, ჭკუა-გონებას, რომ მოზარდი საბოლოოდ რაც შეიძლება სრულ იქმნას სულითაცა და ხორცითაც.

უკვე გამოქვეყნებული ცირკულიარი სწავლა-განათლების მინისტრისა ცხადად გვეუბნება, რომ ეს ჯან-აგებულების წრთვნა საჭიროდ დანახულია თვით უმაღლეს მთავრობისაგანაც. ეხლა გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ ცირკულიარმა აღძრა ლაპარაკი რუსეთის პედაგოგებ შორის. რვას ოქტომბერს მომხდარა დიდი კრება პედაგოგებისა პეტერბურგში, ამ კრებას დიდი ხალხი დასწრებია და ბ-ნ მინისტრის ცირკულიარისაგან წამომდგარ საგანზე ჰქონიათ სჯა და ლაპარაკი. კრების თავმჯდომარეს პროფესორს ლესგაფტს წარმოუთქვამს პირველი სიტყვა და გამოურკვევია—რაში უნდა მდგომარეობდეს ჯან-აგებულების წრთვნა და რა მეთოდი და ღონე უნდა იხმაროს სკოლამ ამ წვრთვნისათვის. რამდენიმე დანასკვნი წარმოსდგა ამ წარმოთქმულის სიტყვისაგან და კრებამ-კი მოასწრო გარჩევა მარტო ორისა. ერთი იმისა, რომ „საჭიროა თუ არა საშუალო-განათლების“ სკოლებში, ეგრედ წოდებული, ჯან-აგებულების წრთვნა. კრებამ, რასაკვირველია, დიდის ერთსულობით დაადგინა, რომ საჭიროაო. მეორე ეს იკითხეს: „რამდენი დრო უნდა დაიდვას კლასებში სწავლებისათვის და რამდენი კლას გარეთისათვის“.

ეხლანდელი სკოლები სწორედ ამ მხრით არიან სუსტნი და მტკივნეულნი და, რა თქმა უნდა, ეს საგითხი დიდს გაცხარებულს ბაასს ასტეხდა. ეგრეც ყოფილა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ. ხოლო ბოლოს-კი მაინც შემდეგს განაჩენზე დამდგარან: «საშუალო განათლების» სკოლებში შეგირდები სამად უნდა განაწილებულ იქმნანო ხნოვანობისა დაგვარად. ერთი ნაწილი ათიდამ თორმეტ წლოვანობამდე პირველი და მეორე კლასისანი; მეორე ნაწილი მესამისა, მეოთხისა და მეხუთის კლასისანი თორმეტიდამ ხუთმეტ წლოვანებამდე და დანარჩენი სამის კლასისანი ხუთმეტიდამ ცხრამეტ და მეტ წლოვანებამდე.

პირველის ნაწილისათვის კრებამ საჭიროდ დაინახა კლასში სწავლების დრო ოთხ გასაკვეთზედ დააყენოს და თითო გასაკვეთისათვის 45 წუთი დაინიშნოს. ამათ შორის ერთი გასაკვეთი ჯან-აგებულების საწრთვნელად დასდეს. ხოლო კლას გარედ სწავლებისათვის დანიშნულ იყოსო დრო ერთის საათიდამ საათ ნახევრამდე. მეორე ნაწილისათვის კლასში სწავლება ხუთ გასაკვეთზედ დააყენეს, 45 წუთით თითო გასაკვეთი. მათ შორის ერთი გასაკვეთი ჯან-აგებულების წრთვნისათვის. ხოლო კლას გარედ სწავლებისათვის საათ ნახევრიდამ ორ საათ ნახევრამდე. მესამე ნაწილისათვისაც კლასში სწავლებისათვის ხუთი გასაკვეთია, თითო გასაკვეთი 45 წუთი, ხოლო ჯან-აგებულების საწრთვნელად აქედამ თითო გასაკვეთი დღე გამოშვებით უნდა ჯან-აგებულების წრთვნას მოჰხმარდეს. კლასს გარედ სწავლებისათვის-კი განაჩინეს დრო ორ საათ ნახევრიდამ სამ საათ ნახევრამდე.

აქედამ გამოდის, რომ, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, მცირე წლოვანი შეგირდები (10—12 წლამდე) სკოლის საქმეს მოუნდებიან დღეში მარტო ოთხ საათ ნახევარს, ამაზე უფრო მოსწრებულნი (12—15 წლამდე) ექვსს საათს და 15 წუთსა და ამათზე უფროსნი—შვიდ საათს და 15 წუთს. თუ ვიანგარიშებთ, რომ ამ საათებში ჩართულია ის დროც, რაც ჯან-აგებულების წრთვნაზეა გადადებული, გამოვა, რომ მოზარდ თაობას კარგად საგრძნობელი შეღავათი მოეცის, მერე იმისთანა შეღავათი, რომელიც სულსაც არგებს და ხორცსაც, თვითონ მოზარდსაც და ქვეყანასაც, რომელსაც ამ გზით ფხიზელის გონებისა და საღ ჯან-აგებულების შვილი გაეზრდება.

ჩვენ მარტო ეს უნდა ვინატროთ, რომ რაც შესაძლოა, მალე აგვისრულდეს მოლოდინი ამ შეღავათისა და მალე გაგვიხორციელდეს ეს კეთილ-გონიერი განაჩენი პედაგოგებისა მოზარდის თაობის საბედნიეროდ, დედ-მამების სასიხარულოდ და ქვეყნის საკეთილოდ. ყველასათვის მეტის-მეტად სანატრელია, რომ სკოლით გაწვრთვნილი ყმაწვილი კაცი ხორცითაც ისეთი საღი და მთელი იყოს, ისეთი ძალ-ღონიერი, როგორც სულითა და გულით. წრთვნას, სწავლებას, განათლებას და ერთობ სკოლას სხვა ამის მეტი საგანი და დანიშნულება არა აქვს და, მაშასადამე, არც უნდა ჰქონდეს.

---

# ფელეტონი

## გორკილი

(დასასრული*)

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

### IX

ნინო და პროპორიევი

ნინო. (ოლგას წასვლის შემდეგ დიდხანს სდგას თავ-ჩაქინდრული და შემდეგ უცრად აიხედავს) არა, ჩემი თავიც უნდა შევიბრალო. მეც მინდა ბედნიერი ვიყო .. (კარებისკენ მიდის)

პროპორ. (სცენაზედ გამოვა) საუცხოვო დუეტი იყო, ღმერთს გეფიცებით!

ნინო. (შეკრთება და მიიხედავს) აქა ხართ?

პროპორ. აქ გახლავართ და გახლდით კიდეც. თქვენ მშვენიერი იყავით, ის საუცხოვო... და მე-კი კმაყოფილი. (თავს იქნევს) დიახ, მაგრამ... უკაცრავად ამ პაწია „მაგრამისათვის“... მამაკაცის როლის ამსრულებლები რომ არსად სჩანდნენ? მე უფრო სამასხაროდ ნახატს გახევებულსა და გაქვავებულს სახეს წარმოვადგენდი, აგერ იქ, აივანზედ აყუდებული, ვიდრე ისეთს კაცს, რომლის აზრის მოსმენაც ურიგო არ იქნებოდა, დამთანხმდით, რომ შეურაცხებად უნდა მიაჩნდეს ჩემს თავ-მოყვარეობას ასეთი უყურადღებობა. არ ემჯობინება, რომ დასასრულ ეხლა ჩვენ ვიგალობოთ ერთი დუეტი!

ნინო. გამიგონეთ! სულ ერთიანად მოწყვეტილი ვარ ჯანსა და ღონე ი. თუ ღმერთი გწამთ და თუ ოდნავ, ერთი წვეთი შებრალება კიდევ მოგეპოვებათ, ნუ მაწვალებთ.

პროპორ. რას ბრძანებთ! თქვენგან არ მიკვირს! რაზედ უნდა გაწვალოთ. ხომ ჰხედავთ, ჩვენს დუეტს დასაწყისად სასაცილო საუბარი გამოვაბი. თქვენზეა დამოკიდებული, თუ მოინდომებთ, შეგიძლიანთ ამ კილოზედვე განაგრძოთ. მაშ ეგრე, გუგული გააგდეთ და თითონვე აპირობთ საკუთარს ბუდეში დაბინავებას?

ნინო. (მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ) დიახ.

პროპორ. ძალიან კარგი და პატიოსანი. მერე, მე რაღას მპირობთ ახლა, ობოლს? ვის სინამართსა მტოვებთ ასე უბედურად?

ნინო. გამაგებინეთ ერთი, რად გინდივართ? ხომ არა გგონიათ მართლა, ვითომ იმდენი ფული მქონდეს, რამდენსაც თქვენ ითხოვთ. (საჩქაროდ გააღებს ხელის ყუთს) აი, სულ ეს არის ჩემი ქონება: თერამეტი ათასი. ესეც ჩემი ბრილიანტები... წაიღეთ, ოღონდ დამივიწყეთ-კი, თავი დამანებეთ.

პროპორ. იჰ, რა საკადრისია, ვინა გგონივართ! ფულს კიდევ ავიღებ, რომ შეგინახოთ, თორემ სასტუმროში ადვილად შეიძლება დაიკარგოს. (ჩაიდებს ჯიბეში) მაგრამ ბრილიანტები-კი... არა, არა... შეინახეთ, თქვენვე დაგჭირდებათ იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ჩარევას აპირობთ!

ნინო. მაშ ეგრე, ჩვენ შორის ანგარიში გათავებულია და თავისუფალი ვარ?..

პროპორ. მერე როდის არ იყავით თავისუფალი, ჩემო ანგელოზო! პირ-იქით, მე ყოველთვის თქვენი ყურმოჭრილი მონა და მოსამსახურე ვიყავი და ვიქნები კიდეც სიკვდილამდე.

ნინო. (მოუთმენლად) დაანებეთ თავი მაგ კილოს და გულ-ახდილად ამიხსენით, რა გნებავთ?

პროპორ. ინებეთ. (წამოდგება) სამასი ათასი.

ნინო. ვის წაართვა მერე მაგდენი ფული?

პროპორ. ქმარსა.

ნინო. უეჭველია, უარს მეტყვის.

პროპორ. არ გეტყვით უარს, თუ განექორწინებით და განათავისუფლებთ.

ნინო. ჩემი შვილი?

პროპორ. მაპატიეთ-კი და ნუ თუ გგონიათ, რომ მაგ თქვენის დედობრივის სიყვარულისა მჯერა რამე. საზოგადოებაში საუკეთესო ადგილის დაჭერასა ხართ მოწადინებული და სხვა არაფერი.

ნინო. არაფერი?

პროპორ. არაფერი. დაიცათ. ისევ ისა სჯობს, რომ დალაგებულად ვილაპარაკოთ. მაგ ნატვრას მე აგისრულებთ.

ნინო. თქვენა?

პროპორ. აბა გულ-დადებით დამიგდეთ ყური და ჰნახავთ, რა საუცხოვო ბედსაც გიმზადებთ. ვსთქვათ, ქმართან გაშორდით. ძალიან კეთილი. რა მოგელით მერე? ორი დღე ვერ გასძლებთ და ვერ დასდგებით იქა. და ეს-კი რომ ასე იქნება, მე გაძლევთ სიტყვას, გესმით, მე. იმედი მაქვს, რომ დამერწმუნებით. (საათს დახედავს)

ნინო. განაგრძეთ.

პროპორ. თუ თქვენვე არ დაანებებთ თავს თქვენს შვილს, ის გაგექცევათ. ამის თავდებადაც ჩემი თავი მომიცია. მოითმინეთ, მე სხვა სახსარს გასწავლით, ისეთს სახსარს, რომლის წყალობითაც საზოგადოებაშიაც კარგს ადგილს დაიმკვიდრებთ, დიდს შეძლებასაც შეიძენთ და ყოველ ამასთან... ქალიც თქვენ გეკუთვნებათ.

ნინო. სთქვით და გაათავეთ რაღა...

პროპორ. თქვენს ქმარს განექორწინეთ და... მე მომთხოვდით.

ნინო. (გაუოცდება) რაო?! როგორაო?

პროპორ. რასაკვირველია, იმ პირობით-კი, რომ თქვენს ოქროსმატყლოსანს ქმარს კარგი მზითევი ავაკრიჭოთ. ამ მხრით საქმეს არა დაებრკოლება-რა. კარგად დაფიქრდით აბა, როცა თქვენ ჩემი ცოლი იქნებით და არა ქმარ-გაშვებული დედაკაცი, ისეთი დედაკაცი, რომლის წარსულიც ბნელია და წყვდიადით მოცული, რომელიც უქმროდ სცხოვრობს, უბი-

*) იხ. „ივერია“ №№ 175, 176, 181, 184, 187, 189, 192, 195, 206 და 214.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი გ. ჩეტირგინი გადაყვანილ იქმნა ტფილისის რეალურ სასწავლებელში სამღვთო წერილის მასწავლებლად. ჩეტირგინი თხუთმეტს ოქტომბერს მთავრად აკურთხეს და 17-ში მღვდლად.

*** იმავე სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ბ-ნი არხანგელსკი გადაყვანილ იქმნა კავკაის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად.

*** პირველ ღვინობისთვიდამ სემინარიის მეექვსე კლასის შეგირდებმა დაიწყეს ქადაგების თქმა ეკკლესიაში. სამწუხაროდ, ქადაგებას შეგირდები სულ რუსულად ამბობენ. ჩვენის აზრით, არ იქმნება ურიგო ხანდახან ქართულადაც იტყოდნენ. სემინარიის გათავების შემდეგ, უეჭველია, ბევრი მათგანი სოფლებში წავა და იქ-კი საჭირო იქნება ქადაგება ქართულად.

*** გუშინ, 18 ოქტომბერს, ნიკოლოოზის სამოქალაქო სკოლაში იყო პირველი სანიმუშო გაკვეთილი, რომელიც, როგორც წინადაც გვქონდა გაზეთში მოხსენებული, შემოღებულია ბ-ნ საერო სკოლების დირექტორის ნ. პ. დარსკის თაოსნობით. ამ სანიმუშო გაკვეთილებს აზრად აქვს შეამუშაოს საუკეთესო წესები სწავლის გასაადვილებლად და ეს წესები სავალდებულოდ უნდა გაიხადოს ტფილისის დირექციის ყველა სკოლამ. პირველს გაკვეთილზედ დაესწრო სამოცამდე მასწავლებელი: თვით დირექტორი ნ. პ. დარსკი, ორი ინსპექტორი, ტფილისის ყველა პანსიონების პატრონები და მასწავლებელნი. გაკვეთილს არჩევდნენ ბ-ნ დარსკის თავმჯდომარეობით სამის საათის განმავლობაში. სარგებლობა ამ გვარის გაკვეთილებისა ისე თვალ-საჩინო იყო ყველასათვის, რომ მასწავლებლებმა იქვე მადლობა გადუხადეს დარსკის ამ მშვენიერის საქმის შემოღებისათვის. შემდეგი გაკვეთილი ისევ იმ სკოლაში იქმნება, ხოლო მესამე-კი ბ-ნ მრევლიშვილის სასწავლებელში.

*** ორშაბათს, ამ თთვის 16, საღამოს 10 საათზე, ავლაბარში, ფერისცვალობის ქუჩაზე, სომეხთა ეკკლესიის ახლოს, მოკლეს გორის მაზრის სოფ. ფხოვლის მცხოვრებელი ზაქარია ბიჭიაშვილი. ამ უბედურს ტფილისში მოეტანა ფეტვი და ჰყიდდა. ავაზაკთ შეუგულებიათ ფული და, როდესაც მოდენილა ფერისცვალობის ქუჩაზე, ავლაბარში, დასცემია ვიღაცა ავაზაკი, სახელად სოსიკო, და დიდის დანით დაუჭრია ბიჭიაშვილი ოთხ ალაგას. სამჯერ დანა დაურტყამს მუცელში და გამოუფაშვნია, მეოთხედ დანა დაუძგერებია მარჯვენა ყურის ქვევით, გადაუტარებია ყელზე და გადაუჭრია ყელის უმთავრესი ძარღვები. საბრალოს დაჭრის შემდეგ ბევრი უყვირნია: „მიშველეთ, მკლავენო!“, მაგრამ თავის დროზე არავის არ მიშველებია. როდესაც ამ ქუჩის მცხოვრებლები გამოცვივნილან კარში, მარტო მდგომარე ბიჭიაშვილი-ღა უნახავთ. ბიჭიაშვილი, რასაკვირველია, მაშინვე საქალაქო საავადმყოფოში გაუგზავნიათ, სადაც იმავე ღამეს გარდაცვლილა. მკვლელი სოსიკო-კი, სოფ. ნორიოს მცხოვრებელი, ჯერ არ შეუპყრიათ. დანა ისე მაგრად დაუკრავს მკვლელს ბიჭიაშვილისთვის, რომ ამ დანას ტარი მოსტეხია.

*** დღეს, ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზედ, „სამეგრელოს“ ბაღში დანიშნულია ჭიდაობა განთქმულ მოჭიდავეს ესებუასა და ალთი აილუგს შორის. ჭიდაობის განცხადებაში გამოცხადებულ წესისამებრ, მოჭიდავე მაშინ ჩაითვლება გალახულად, თუ წაქცეული და გაჩერებული იქნება ზურგზედ. ხოლო თუ ვინიცობაა თხუთმეტის წუთის განმავლობაში მოჭიდავეებმა ერთმანეთს ვერ დასძლიეს, ჭიდაობა გადადებული იქნება სხვა დროისათვის.

*** **ხაშური:** მობრძანდა აქ თანაშემწე კავკასიის მთავარ-მართებლისა შერემეტიევი და აქედგან ბორჯომს წაბრძანდა. ისეთი ამინდი იყო რომ კაცს გარედ არ გამოესვლებოდა.

*** **ბორჯომი:** 16 ოქტომბერს მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე აპირებდა სახლობითურთ რუსეთში წაბრძანებას, მაგრამ უამინდობის გამო ეს განზრახვა გადადებულ იქმნა რამდენისამე დღით.

*** **ყვირილა.** 15 ოქტომბერს ღამე ჩვენი დაბა ცოდვით აივსო: ავაზაკებმა მოჰკლეს ერთი უცხოელი, ტომით ებრაელი, რომელიც ქვა გუნდის კანტორაში მსახურობდა ლიმბერგერთან. საცოდავს ებრაელს სძინებია იმ ოთახში, სადაც მდგარა ფულის ყუთი. ავაზაკებს გაულიათ ფანჯარა, შესულან, დაუჭრიათ საცოდავი და მერე ყელი გამოუღადრავთ. პოლიცია ფეხზე დადგა. მოწვეულ იქმნა მაშინვე გამომძიებელი და მაზრის მკურნალი. აქაური მოქალაქეობა ყოველ ღონისძიებით ცდილობს აღმოაჩინოს საზარელი კაცის-მკვლელნი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა მოუგვარებია-რა.

*** **ფოთი:** ამ თთვის თოთხმეტს, შაბათს საღამოს, აქ მობრძანდა მისი ბრწყინვალება მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი. თითქმის შუაღამე იქნებოდა, როცა მატარებელი მოვიდა. ამ დროს წვიმდა და გვარიანადაც ციოდა. მთავარ-მართებელი ვაგონიდგან არ გამობძანებულა და ღამე ვაგონში გაათია. დილით ადრე წაბძანდა ზღვისაკენ ყურეს სანახავად. დილითაც ძალიან ციოდა და ცივი ზღვის ქარი ჰქროდა. მთავარ-მართებელმა დაათვალიერა რა ნავთ-სადგური, ნახა სამოქალაქო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, მერე წაბძანდა ეკკლესიაში და მოისმინა წირვა ეპისკოპოსის გრიგოლისა. წირვის შემდეგ მისი ბრწყინვალება თავის კრებულით წაბძანდა ეპისკოპოსის სასახლეში, რომლის წინ სამხედრო მუსიკა უკრავდა, ხალხი ბლომად შეიყარა სასახლესთან. პირველს საათზედ მისმა ბრწყინვალებამ ისაუზმა ეპისკოპოსისას და შემდეგ წაბრძანდა ანაკლიაში, საიდგანაც, როგორც ამბობენ, მიბძანდება ზუგდიდში და მერე სოხუმში.

*** **სოფ. კარალეთი** (გორის მაზრა): წაიდა უბარაქო და ნავსი წელიწადი, პური არა მოგვივიდა რა, რაც მოვიდა, ნახევარი თუ არა, მეოთხედი მაინც ჭიოტა და გორგალა იყო. წინაპირეელში სიმინდების იმედი მაინცა გვქონდა, მაგრამ არც იმის გამოსაველი იყო ხეირიანი. ეაზი-კი, რადგან ჩვეულებრივ შემოდგომაზე დავმარხეთ მიწაში, ღვთის მადლით, გადარჩა. თუმცა პირველად დიდი იმედი გვქონდა, რომ ღვინის მოსავლით გავსცემთ ყველას პასუხსაო, მაგრამ იმანაც გვიმტყუნა. ნახევარი ყურძენი არ დამწიფდა ვენახში. რაც-კი მოვკრიბეთ, იმისგანაც დიდი ხეირი არა არის-რა. ტკბილი მალე მჟავდება ისე, რომ კაჭკაჭს დააჩხავლებს. უექიმობამ გაგვიჭირა საქმე. ჩვენი წამალი სხვა-და-სხვა ბალახ-ბულახი, მოშუშული ქატო და თბილი ფაფა-ფუფაა. ამ შემოდგომაზე რამდენიმე ყმაწვილი იმ ხვერპლა ციებ-ცხელებამ და სხვა სატკივრებმა. ჩვენს ბედობაზე მკითხავის მეტი არავინ არის და ჩვენც ისე უგუნურები ვართ, რომ იმასთან მივდივართ და რჩევას ვეკითხებით. ეს მკითხავი ჩვენს სოფელზე ახლოა და ჰფცქვნის ხალხს. დედაკაცები ფეხით გადადიან მკითხავის სოფელში. სკოლა და წერა-კითხვის სწავლა ჩვენთვის არ არსებობს, თითქო აღკრძალულიაო. უპატრონო ქვეყანას რომ იტყვიან, სწორედ ჩვენი სოფელია.

◆◆

## † პროფესორი ივ. გრომეკა.

13 ოქტომბერს გარდაიცვალა ქუთაისში დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ დროებით აქ ჩამოსული პროფესორი ყაზანის უნივერსიტეტისა იპოლიტე გრომეკა, რომელიც წამოსულიყო რუსეთიდამ საქართველოში მკურნალთა რჩევით. საუბედუროდ, ჩვენმა ქვეყანამ ვერ არგო და ვერ განკურნა მისი სენი. განსვენებული პროფესორი ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი იყო, უმაღლესი სწავლა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტში მათემატიკურს ფაკულტეტზე და სამის წლის შემდეგ მიიღო მაგისტრობა. შემდეგ გრომეკა დანიშნეს პროფესორად ყაზანში. აქ ახალგაზდა მეცნიერმა წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს თხზულება დოქტორის ხარისხის მისაღებად და მიიღო კიდეც ანალიტიკურის მეხანიკის დოქტორობა. განსვენებული იყო ღვიძლი ძმა იმ მწერალ გრომეკასი, რომელმაც თავის დროს სახელი გაითქვა ლევ ტოლსტოის რომანის „ანნა კარენინას“ კრიტიკულის განხილვით. ეს ახალგაზდა კრიტიკოსი დიდს იმედს იძლეოდა, მაგრამ ისიც უდროოდ გარდაიცვალა, ჯერ ისევ 28 წლისა.

დაასაფლავეს იპოლიტე გრომეკა 15 ამ თთვეს. მიცვალებულის გამოსვენებაზე ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. ამის მიზეზი ცუდი და წვიმიანი დარი იყო და საშინელი ქუთათური ტალახი. ამისთანა ტაროსმა ბევრი დააბრკოლა და ვერ დაესწრო დასაფლავებას. განსვენებულმა ობლად დასტოვა ცოლი და ქალ-ვაჟი. გულსაკლავი და სამწუხარო სურათი იყო ცოლ-შვილის უკანასკნელი გამოთხოვება: იმათმა ტირილმა სხვაც ბევრი აატირა. დამსწრენი სულ ქართველები იყვნენ და იმათ შორის თითო-ოროლა ქალიც ერია. რუსი მხოლოდ ერთი იყო.

საუკუნოდ იყოს ხსენება პატიოსანის სამეცნიერო მუშაკისა და მოღვაწისა!

ა. გ—ი

◆◆

## ქართული თეატრი

მოლოდინი, სამ-მოქმედებიანი კომედია, და ბაიყუში, ორ-მოქმედებიანი კომედია-ფარსი ავქ. ცაგარლისა.

გუშინ-წინ ქართულმა თეატრმა პატივი სცა თითქმის მეოცედ თავისს ნიჭიერსა და მშრომელს არტისტს ვ. აბაშიძეს და ბენეფისი გაუმართა. არტისტს თავის საბენეფისოდ სულ სასაცილო პიესები ამოერჩია, კომედიები. სამ-მოქმედებიანი პიესა „მოლოდინი“ ნამდვილი კომედიაა, კომედია, რომლის სასაცილობა თვით მოქმედებაში იმყოფება, გარემოებათა

---

ნაოდ, დღეს რომ აქ არის, ხვალ სხვაგან ამოჰყოფს ხოლმე თავს, —განა მამა გაჰბედავს და თქვენს ქალს ჩვენთან ცხოვრებას აღუკრძალავს, თითონ შეიდს წელიწადს, და მაშინ ხომ ათიც შესრულდება, ინახავდა საყვარელთან ერთად და ეხლა როგორ დაუშლის დედასთან წასვლას, იმისთანა დედასთან, რომელსაც ოჯახი ექნება, ქმარი ეყოლება, საზოგადოებაში პატივცემული და მიღებული იქნება?! უნახოთ მაშინ რაღა ზაიათებს მოჰყვება! მაშ ასე, ნება მომეცით ცოლობა გთხოვოთ.

ნინო. მე თქვენი ცოლი?

პროპორ. მერე რომ იცოდეთ, რა ქმარი ვიქნები-და. ღმერთმანი, მე თითონ ალტაცებაში მოვდივარ. თქვენი არ იყოს, მეც მომქანცა ამდენმა ცხოვრების ფუქსავატობამ. მეც მინდა ოჯახი მქონდეს... ანთებული ბუხარი გვექნება, დილით ყავას შევექცევით... საუცხოვო სწორედ... მერე ისიც ამ მშვენიერს ქალაქში. რამდენიმე მშვენიერი ქალი მოგვევა ხოლმე სტუმრად, ელენე, მაგალითად, საკუთარი წრე გვექნება... იქვე გვეყოლება ყმაწვილი ქალიც... აქეთ-იქით ვატარებთ ხოლმე... გავათხოვებთ... უეჭველად უნდა დამთანხმდეთ. თქვენის გულისთვის ჩემს ალთქმასაც-კი ვღალატობ და ცოლს ვირთავ. რა გაეწყობა, ეს არის ერთად-ერთი გზა, რომ მგლებიც მაძღრები იყვნენ და არც ცხვრებს დააკლდეთ-რამე. აბა, ხელი დაჰკარით თანხმობის ნიშნად.

ნინო. მე გავხდე თქვენი ცოლი, მე?!

პროპორ. და მე ქმარი გავხდები! მშვენიერად მოვეწყობით!

ნინო. ჩემი ქალი თქვენს ახლო ვამყოფო? თქვენთან ვაცხოვრო? არა, ჯერ ეგრე არ დავცემულვარ!

პროპორ. რაზედ მიწყრებით.

ნინო. ეგ-ეგ იყოს, მაგის თქმა აღარ გამიბედო! ჩემი შვილი შენთვის სულ უცხოა, ცხრა უცხო. მე ხომ ისე მექცეოდი, როგორც გინდოდა, იმას-კი არ მოგაკარებ, თვალითაც არ დაგანახვებ... გესმის? ხელს არ გახლებინებ. ნუ მეხუმრები და მეთამაშები. როცა ადამიანი უკანასკნელ ბედნიერებისათვის იბრძვის, არაფერს დაჰზოგავს, აღარაფერს დაერიდება! კმარა ხუმრობა! (კარებისკენ მიდის)

პროპორ. მაშ კარგი, რაკი აგრეა-და, იცოდე, რომ ვერც ქმარსა და ვერც შვილს ისე ველარა ჰნახავ, როგორც შარშანდელს თოვლს.

ნინო. (სწრაფად მობრუნდება და გაშტერებით შესცქერის. თვალები ცრემლით ევსება) გიორგი... მე შენ მიყვარდი... შემიბრალე. ხომ აღარ ვინდივარ, უწინდელებრ ხომ აღარ გამოგადგები, რომ ჩემის შეწევნით საკუთარი განზრახვა აისრულო. სულ ერთიან მოღალული ვარ, ღამის ჰკუიდგან ამიტაცოს... ღონე აღარა მაქვს, დღეს უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, სიბრალულით აძგერებული გული ჩავიხუმე, სინიდისს შევ გავამშვიდე. არც ქმარი შევიბრალე, არც შვილი და არც ის უბედური დედა... რომ ჩემი გამეტანა, რადგან თავიდგან არის დამოკიდებული ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე. გესმის? ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა ან სიკვდილს მომიტანს, ან სიცოცხლეს!

პროპორ. მესმის, მესმის, ძალიან კარგად მესმის!

ნინო. უწინდელ ცხოვრებისათვის დიდი ხანია აღარ გამოვდგები... დამითხოვე, ნება მომეცი ჩემს ქალთან ვიცხოვრო... იმასთან სულ ერთიან შევიცვლები, ერთიან გადავხალისდები... ყველაფერს მოვინანიებ. რაც გინდა იმ ხსნასა და სამოთხეს გამომაშალო, ამ ბედნიერებას მოაშორო... გიორგი... შემიბრალე და შემიცოდე, მაკმარე ამდენი ტანჯვა.

პროპორ. დამშვიდდი, ეგ არაფერია, გაგიჟების, ისტერიკაა მხოლოდ. ჩემი გადაწყვეტილი სიტყვა გითხარი, და ეხლა ამას, შენ-კი არა, მეც ვეღარ გავსტეხავ.

ნინო. (სიბრაზისაგან კანკალებს) ეს სიცოცხლე-კი რა, ჯოჯოხეთია!

პროპორ. გეყოფათ, ერთთან მაინც იყავით ერთგულად, ჩემო მეგობარო! ფუთკარსავით ესე ერთის ყვავილიდგან მეორეზე გადაფრენა ხომ არ შეიძლება.

ნინო. (დაიკივლებს) რა ვქნა, საიდგან ვიშოვნო ფული, რომ თავში ვახალო ამ საზიზღარსა და...

პროპორ. ნელა, ნელა, თორემ დედაშენი შიშით კიდევ შკაფში შეძვრება. ყვირილითა და წივილით აქ ვერას გააწყობ. აი რას გეტყვი. სტოლთან ჩამოჯექ და წერილი მისწერე შენს ქმარს: საყვარელო მეგობარო! ცოტა შევწიწმატდი-თქო... ან, არა.. ასე არა. მომეცი სამასი... არა, ცოტაა, ხუთასი ათასი, ხელს ვიღებ ყოველს უფლებაზე და სრული თავისუფლება მომინიჭებია თქვენთვისა-თქო. მივიღოთ ეს ფულები და მერე-კი, შენი ნებაა, რა გაეწყობა, გინდა გაეშორდეთ კიდეც ერთმანეთს. აბა დაიწყე.

ნინო. ერთს სტრიქონსაც არ დავწერ. რა-კი აგრეა, უკანასკნელად გიცხადებ: ხვალ ჩემს ქმართან გადავდივარ და ვნახოთ, რას მიზამ.

პროპორ. რასა? სტვირი მოვმართო მაშ? ძალიან კეთილი. უპირველეს ყოვლისა თავს გამოჰყოფს განსვენებულის ალკაშინოვის ანდერძის ამბავი; იმას მოჰყვება შენი გრაფ ოსენიევთან მიწერილი წერილები, იმ გრაფთან, რომელმაც დამბაჩით მოიკლა თავი, და ამას გარდა კიდევ ათასი სხვა ამბავი...

ნინო. ვერ გაჰბედავ და მაგას ვერ იზამ! შენ თითონ...

პროპორ. მე არაფერი. მე რასაც ვაკეთებ, კვალს არსადა ვსტოვებ, და ან რა დამეკარგება. მაგრამ ეს რა, ეს კიდევ შაქარია. მომისმინე, ჩემო ქალბატონო: გადახვალ თუ არა, მოვალ შენთან და ქალისა და მთელის საზოგადოების წინაშე ისე მოგექცევი, როგორც ჩემს საყვარელს. შენს წარსულს მძივსავით ავასხამ ძაფზედ და ყველას ისე დავანახვებ. ერთის სიტყვით, სწორედ იმ მოსვენებას არ გაღირსებ, რომელსაც ისე თავ გამოდებული დაეძებ. შენს ოჯახს ოთხვე

დახლართვაში, თვით პიესას ბუნებად დასდევს თან ათასი უცაბედი და მოულოდნელი ღიმილის-მომგვრელი შემთხვევა. ჩვენის მწერლების კომედიებს ის დიდი ნაკლი აქვთ, რომ ავტორებს მაღალ ფარდების, მსხვილ-მსხვილად დამტვრეულ ფრაზებით უნდათ მოჰგვარონ სიცილი მაყურებელს. ამ ნაკლს კომედია „მოლოდინი“ სრულიად აცილებულია და, ამისდა მიუხედავად, მეტად სასაცილოც. ყოველად შემძლე შემთხვევა ისეთს გარემოებაში აყენებს პიესის მომქმედ პირთ, ისე ჰხვლანჯავს საქმეს, რომ თითონ გმირის მდგომარეობაა სასაცილო და არა იმის ნათქვამი სიტყვები. რაც უნდა სთქვას არტისტმა, მაინც სიცილს გამოიწვევს; სცენაზედ ტირილსა და გმინვასაც რომ მოჰყვეს, მაინც თავს ვერ შეაკავებინებს სიცილ-მორეულ მაყურებელს.

ამისთანა ჭეშმარიტად საკომედიოდ ნაქარგსა და ნაქსოვს პიესას, როლების წყალსავით დასწავლასთან, შესაფერი თამაშობაც უნდა, მკვირცხლი, ადრევე მოსაზრებული და შეთანხმებული. ამ მხრივ ჩვენს არტისტებს არა უჭირდათ-რა. მშვენიერად ჩაატარეს თავისი როლები თვით მობენეფისემ, საფაროვისამ და ყიფიანმა. ლამაზად დაესწავლა თავისი როლი აგრეთვე ქ-ნ კახიძისასაც, ცოტა რომ მეტი სიცოცხლე გამოეჩინა პიესაში. თამაშობას ოდნავ ხელს უშლიდა ბ-ნი გედევანოვი ექიმის ანტონოვის როლში. ეს არტისტი თუმცა ძალიან ბეჯითობს, როლიც კარგად იცოდა და თამაშობაც მოხუცის შესაფერი ჰქონდა, მაგრამ, ჩვენის აზრით, თავისი როლი კარგად ვერ გაეგო: ანტონოვი მკვირცხლი მოხუცია, ფრიად მოშიშარი, გულ მტკივნეული, ყოველ ხიფათს მორიდებული და უბოროტო კაცი. ბ-ნ გედევანოვის ანტონოვი-კი უფრო დამჯდარის ხასიათისა იყო, დაბრძენებული და გაჭიანურებით სიტყვების დამლაგებელი ლაპარაკის დროს. ამით არტისტი აყოვნებდა კომედიის სიმკვირცხლეს, ჩქარს წარმოებას. საზოგადოდ, როგორც ეტყობა, ბ-ნი გედევანოვი მშვენიერად ითამაშებს მოხუც ვაჭრების როლს, ჩვენის ცხოვრებიდგან აღებულს პიესებში. ბ-ნს კანდელაკს უნდა შევნიშნოთ, რომ არტისტი როლის მიერ დადებულსა და შემოფარგლულს წრეს არაფრით უნდა გადასცილდეს და თავისი ნიჭი და ხელოვნება, თუ უნარი აქვს, ამ წრის შეუშლელად უნდა გამოიჩინოს. ეს ახალი არტისტი გუშინ-წინ მსახურის ივანეს როლსა თამაშობდა და ერთ ალაგას ისე უხამსად და ურიგოდ შეიკუნტრუშა, რომ სწორედ ცუდად იმოქმედა მაყურებელზე

მეორე კომედია, ბაიყუში, ახალი ნობათი არ არის თეატრში მოსიარულე საზოგადოებისათვის, ეს პიესა თითქმის მეორმოცედ წარმოუდგენიათ და ყოველთვის სიამოვნებით მოუსმენია საზოგადოებას, ყოველთვის დიდი სიცილი და ხარხარი გამოუწვევია თვით არტისტებსაც ეს პიესა თითქმის ზეპირადა აქვთ დასწავლილი. მიზეზიც, ვგონებთ, ეს არის, რომ ამ პიესას ძალიან ხელ-გაშლით ეკიდებიან და არ უგულ-მოდგინებენ. არტისტები სცენაზედ ზოგიერთს სიტყვებს სულ არ ამბობენ, ზოგს თავისებურადა სცვლიან და ასხვაფერებენ.

ორივე პიესა თეატრში საკმაოდ მყოფმა საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა, ბევრი იცინა, ბევრი იკასკასა და იხარხარა. ბ-ნს მობენეფისეს მიართვეს: ერთი დაფნის გვირგვინი ამხანაგებმა, ერთი მშვენიერი სათამბაქოე, ერთი ვერცხლის ჰიქა-კოჭზი, მშვენიერს ყდაში გაკეთებული „საქართველოს სამოთხე“ და სპარსულის ხელოვნების ყავის იარაღი.

სწორედ საყვედურის ღირსია ქართულის თეტრის ადმინისტრაცია. ეს თითქმის მეორედ ქართულის წარმოდგენის დროს თეატრის ფარდას რაღაც უბედურება ემართება. ამას წინად ქ-ნ ავალოვის ბენეფისში უდროვოდ ჩამოარიხრიხეს ფარდა, მოქმედების შუა ალაგას, და გუშინ-წინ კიდევ პირველ მოქმედების გათავების დროს ათი წუთი სცენა ცარიელი იყო, ფარდა არ ჩამოუშვეს და შემდეგ, საანდრაქტო ფარდის მაგიერ, წარმოდგენის გათავებისა ჩამოაფარეს. თეატრის მოიჯარადრე ფორკატი ევონებ მოვალეა ამ უწესოებას ყურადღება მიაქციოს, მით უმეტეს, რომ ყოველი ამისთანა უხერხულობა არტისტებსაც გულს უტეხავს და საზოგადოებასაც

ორიოდე სიტყვა კიდევ: ჩვენს ამასწინდელს რეცენზიაში გაკვრით ნათქვამმა რამდენიმე სიტყვამ ბ-ნ დავით სოსლანის „სცენების“ შესახებ ავტორის პასუხი გამოიწვია წარსულ კვირის „თეატრში“. ავტორულის თავ-მოყვარეობით აქიზიანებული ბ-ნი სოსლანი, თავისს ჩვეულებრივ უმართებულო ლექსიკონით გვიხსნების, დავიწყებია, რომ „თავის ქება თავის ტეხაო“, და თავ-მომწონედ გაიძახის, რომ „სცენები მიროვოი სუდიასთან“ არც დასაბეჭდად დამიწერია, არც სცენაზედ წარმოსადგენად (მაშ რისთვის დაუწერია ნეტა?), მაგრამ ორჯელ დაიბეჭდა და არდგენენ კიდეცაო. ცხადია, ჩემი ნაწერი სიცოცხლითა და სიმახვილით სავსეა, თავის თავი ძალად დააბეჭდვინა და იქ გამოყვანილ ტიპების სიცხოველემ, ენის სიმახვილემ და სხვა ღირსებამ წარმოადგენინაო. როგორც მითხ~ეს, ჩემს «სცენებს» ხალხი სიცილით ამოუწყვეტიაო.

როგორც ჰხედავთ, ეს „სცენები“ ისეთი მშვენიერი ყოფილა, რომ ავტორისაგან ვიღაც ღვთის მტერს მოუპარავს, ორჯელ დაუბეჭდია და რამდენჯერმე წარმოუდგენია კიდეც. ბ-ნი სოსლანიც ისე მაგრად ჩახჭიდებია ამ თავისს ერთად-ერთსა და ყოვლად სრულს (?) ნაწარმოებს, რომ თავ გამოდებული გაჰკივის: როგორც მიწერავს, ისევე ეწერავ, თქვენი მამალი ვერ მახწავლის მე კაი სცენების დაწერასაო. დავარწმუნებთ ბ-ნს „დრამატიულს მწერალს“ რომ ტყუილად აუხსნავს აბჯარ-ჩაჩქანი ტანზედ, ჩვენც სწორედ ეს მოვახსენეთ—პიესა სასცენო არ არისო. ამას გარდა ტყუილი გაუგონია, ვითომ იმის ნაწერს თეატრში ხალხი ამოეწყვიტოს. ღვთის მადლით ყველანი ჯან-საღად დაბრუნდნენ სახლში და არავის არა დამართნია-რა. ვურჩევთ ბ-ნს ავტორს, სხვითი რითიმე დაიკმაყოფილოს თავისი აქიზიანებული ავტორული თავ-მოყვარეობა, სხვა რამ უფრო თავის გმირობის შესაფერი ნაწარმოები გაიხადოს თავ-მოსაწონებლად, თორემ უბრალოზედ აგრეთი გაწიწმატება ბ-ნ სოსლანისთვის რა საკადრისია: „ჩიტი ბდღვნად არა ღირდა, უკან დევნა მეტი იყოო“!

მანველიძე

# დეპეშა

16 ოქტომბერი

პეტერბურგი. დღეს გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: მიეცეს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ ნაღდ ფულიდამ იმ 13.828,875 მან. დასამატებლად 36 171, 125 მანათისა, რომელიც გარდაცემული იყო უკვე ოთხ-პროცენტიან 1889 წლის ნასესხისაგან ოქროთი. და ამ სახით, გათავდება რა ბანკთან საბოლოოდ ანგარიში შესახებ დროებითგამოცემულ 1877—78 წ. ქაღალდის ფულისა, გაბათილებულ უნდა იქმნას 4%-იანი ოქროს რენტა 80 მილიონ ქაღალდის ფულისა, რომელიც გარდაცემული აქვს სახელმწიფო ბანკს 1888 წელს.

გაზ. „Нов. Вр.“-ას გაუგონია, რომ მთავრობას ნება დაურთავს რკინის გზა გაიყვანონ ბერდიჩევიდამ ჟიტომირამდე.

ათინა. გუშინ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში დიდის ამბით დაიწერეს ჯვარი მემკვიდრე პრინცმა კონსტანტინემ და პრუსიის პრინცესამ სოფიომ. ჯვარის წერას დაესწრნენ უმაღლესნი ნათესავნი: მემკვიდრე ცესარევიჩი, დანიის მეფე-დედოფალი, იმპერატორი გერმანიისა მეუღლით და დედითურთ, მემკვიდრე პრინცი ინგლისისა და სხვანი. მემკვიდრე ცესარევიჩსა და პრუსიის პრინცს ჰენრიხს საქორწინო გვირგვინები ეჭირათ. ჯვარის წერის გათავებისას ზარბაზნები გაისროლეს და ამით აცნობეს ერს, რომ შესრულდა ქორწინებაო. შემდეგ სასახლეში დალოცეს ახალი ჯვარდაწერილნი ლოტრანგთა სარწმუნოების წესისამებრ.

ათინა. გუშინდელს სადარბაზო სადილზე ელლინთა მეფემ ადღეგრძელა ახალი ჯვარ-დაწერილნი და თავისს უმაღლეს სტუმართა სადღეგრძელო მეფემ ფრანგულად წარმოსთქვა. პასუხად იმპერატორმა ვილჰელმმა სთქვა სადღეგრძელო გერმანულად. მან ადღეგრძელა ახალი ჯვარ-დაწერილნი, მეფე-დედოფალი ელლინთა და ბერძენთა ერი, რომელმაც ისეთის აღტაცებით მიმიღოო. „ბედნიერი ვარო, დასძინა იმპერატორმა: რომ ჩემი და საბერძნეთში იცხოვრებსო. იმედი მაქვს, საბერძნეთის ერი შეიყვარებს და შეილიეთ იტვირთებსო“. სადღეგრძელომ აღტაცებული „ურა“ გამოიწვია.

ლონდონი. „Times“-ი იუწყება, რომ ჰერცოგი ედინბურგისა, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო პორტუგალიის მეფის დასაფლავებაზე, მოვიდა სანახავად მეფე კარლოსთან, მაგრამ სასახლეში გული შეუწუხდა, წაიქცა და ძრიელ დაიშავა პირი-სახეო.

17 ოქტომბერი

პეტერბურგი. დღეს, მათის იმპერატორებით უდიდებულესობისა და უავგუსტოესის სახლობის უბედურებისაგან გადარჩენის წლის თავზედ, ყველა ტაძარში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. ისაკის ტაძარში იყო არქიელის წირვა და წირვის შემდეგ გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი მეტანიით. იქ დაესწრნენ უმაღლესნი და უწარჩინებულესნი მოხელენი, სადიპლომატო კორპუსი და გენერალიტეტი. პარაკლისის დროს 101-ჯერ ზარბაზანი გაისროლეს ციხიდგან. შემდეგ ტაძრის წინ გამართულ იქმნა საეკკლესიო პარადი და ჯარმა საცერემონიო მარშით გაიარა. გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში პარაკლისზედ დაესწრნენ

---

მხრიდგანვე ცეცხლს წავუკიდებ და, მეტი რა ღონე გაქვს, შენც ძალა უნებურად თავი უნდა დაანებო. შენა მყევხარ ერთად-ერთი მეგობარი, უშენოდ გაძლება არ შემიძლიან და ცოცხალს თავს არ დაგანებებ.

ნინო. (თვალებ-ანთებული უყურებს) მაშ ეგრე, ვერ იქნა, ხსნა არ არის რაღა? შენს ბრჭყალებს თავი ვერ უნდა დავაღწიო?

პროპორ. ეს, ბრჭყალები კი არა, ბორკილია, ხუნდია რკინისა. ვის ც-კი მოვიმწყვდევ ამ ბორკილში, ის, ტყუილი იმედია, თავის ნებით ველარ მოიხსნის. ყველაფერი დიდის უნარით და ხერხით მოაგვარე: მტრებსა სძლიე და შვილიცა და მთელი ქალაქიც მოიმხრე... მაგრამ ერთი ვერ მოგვიდა კარგი ანგარიში: დაგავიწყდა, რომ წარსულის აგრე არარად ჩაფუჩეჩება არ შეიძლებოდა და რომ ხელში ტიკინსავით მიჭერიხარ და ძაფს ჩამოვკრავ თუ არა, ისე აგათამაშებ, როგორც მინდა. ამიტომაც გირჩევ, გული დაიწყნარე, ამაოდ ლობ-ყორეს ნუ ედები, დაანებე ტრაგედიების თამაშობას თავი, ქმარს წერილი მისწერე და კვლავ უერთგულე იმას, ვისთანაც აქამდე სცხოვრობდი.

ნინო. მაშ მაგრე, შენის აზრით, წარსულის არარად ჩაფუჩეჩება არ შეიძლება? მე დაგიმტკიცებ, რომ შეიძლება და ძალიან ადვილადაც. პირველად შენა მკარი ხელი, შენ ამომსვარე მწვირეში და შენ გამხადე უზნეო და ულირსი ადამიანი... ესეც არა გკმარა... ის გინდა, რომ სიკვდილამდე შენს წყეულს ხელში ვიყო და დღის სინათლე ვერ დავინახო? გინდა, რომ მიმსახურო, მყიდო და მასარგებლო... რა-კი აგრეა, დავამსხვრევ მე ამ ბორკილს! დავლეწავ! (საჩქაროდ მივა ხელის ყუთთან, წამლის შუშას ამოიღებს, ერთიან გამოსცლის და შუშას წინ დაუგდებს) აი შენი ბორკილი.

პროპორ. ეგ რა ჰქენი?

ნინო. განვთავისუფლდი.

პროპორ. (ხელსა სტაცებს) რა საწამლავია? მითხარ, რა საწამლავია?

ნინო. კარგადა სჭრის, ნუ გეფიქრება.

პროპორ. გიჟი ხარ და შენი თავიც დაჰღუპე და ჩემიც. (საჩქაროდ გადის)

ნინო. დედი... დედი... (არინა შემოდის)

X

ნინო და არინა

ნინო. წადი ეხლავე ჩემს ქმართან... და უთხარი, რომ ნინომ კთხოვა... შემოგვევედრა... ანეტა ეხლავე მოიყვანო-თქო

არინა. ნინუცი, შვილო, და...

ნინო. უთხარ, რომ სულსა ჰლევსთქო... გასწი... ნურარას იტყვი... (მაღლად გაჰყვას) ესეც ესე.. გათავდა... ყველანი განთავისუფლდნენ.. და მეც... (მივა სტოლთან და დასწერს) „ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთ“. დიაღ, სიკვდილს... აუცილებელია.., ექიმი ამბობდა, რომ ეგ წამალი უტანჯველადა ჰკლავსო... რა საშინელებაა .. მარტო ვარ.. აქაც მარტო, აქაც ობლად. ნუ თუ მარტოს მიწერია სულის ამოსვლა.. ოჰ! მეშინიან.., რა ჩავიდინე? რაღა... სიმარტოვეს წავალ სადმე.. გავიქცევი აქედგან.., იმათთან წავალ, იქ .. ისინი შემინდობენ. (მირბის კარებისაკენ და წინ ანნა შეეყრება) აა, ჩემო ტურფა ანეტა... (ცახცახით და განკალით გადაეხვევა)

XI

ნინო და ანნა

ანნა. დედაჩემო, შენთან მოვედი. ველარ ავიტანე... და გამოვიქეცი... უეჭველად უნდა მენახე...

ნინო. რა დიდად დამნაშავე ვარ შენთან, შვილო...

ანნა. დაჩუმდი, დედაჩემო, ნურარას იტყვი... მაგისთანას ნურარას გამაგონებ... მარტო ის ვიცი, რომ ჩემთან იქნები, დაისვენებ, სულს მოითქვამ, და მეტიც არა მინდა-რა,.. ყოველ გვარს ტანჯვას დაგავიწყებ, ისე მეყვარები.

ნინო. დამიგდე ყური, ჩემო თვალის სინათლევ... და კარგად დაიხსომე, რაც გითხრა... შენს სიცოცხლეში ნუ დაივიწყებ. მამაშენიცა და ოლღაც მართალნი არიან: მე თითონ დავანებე თავი ოჯახსაცა, შენცა და ქმარსაც. მოვშორდი ყველაფერს, ოჰ რად დავყარე და... ცუდად, ურიგოდ ვცხოვრობდი.

ანნა. (ფერი ეცვლება, ფეხზედ წამოდგება და წაიბარბაცებს) რა სთქვი?! დედაჩემო! შენა?! შენა!

ნინო. ნუ მომშორდები, შვილო, იქნება დიდხანს ველარ ვიცოცხლო.

ანნა. დედავ...

ნინო. ეხლა-ხან გავხდი ავად საშინელისა და უკურნებელის სენით.. გული მტკივა... გახსოვდეს ჩემი სიტყვა... მამა გიყვარდეს... მამაშენი კეთილი და პატიოსანი კაცია... ვინიცობაა სხვა დედის აჩენა მოუნდომა... ისეთისა, რომელიც ჩემზედ უფრო ღირსეული იქნება... გიყვარდეს, შვილო, ისიც გიყვარდეს, მშობლად მიიჩნიე. ცოტა ტანჯვა არ გამოუვლია იმასაც, შენის გულისთვის თავი დასდო, ბედნიერება არ ინდომა...

ანნა. არა, დედაჩემო, მაგას ნუ მეტყვი... სცდები, უეჭველია მორჩები და...

ნინო. არ ვიცი, შვილო... არა მგონია-კი... მაინც გულს ნურაზედ შეიწუხებ... (ვოლინცევი შემოდის საჩქაროდ)

XII

ისინივე და ვოლინცევი

ვოლინც. არა, რას მიშვრები, ქალო? გამოქცევა რა საჭირო იყო... დედაშენიც ჩვენთან არ იცხოვრებს.

ნინო. სერიოჟა, მაპატიე... შენც შემინდე, ჩემო ანგელოზო... შემინდეთ ისე, როგორც ღმერთმა შემინდო და თქვენს ახლო მომკლა...

ვოლინც. რაო?

ნინო. (ფერ-მიმკრთალი და ფეხზედ მდივსა დგება) ხელი მომეცი, სერიოჟა... (ხელზედ ჰკოცნის) როგორღაც დაბნელდა... წავიდა, ჩაფუჩეჩდა... შენის ცოლისთვის ჩამიბარებია ჩემი ქალი... შენ-კი, შვილო, ილოცე... ნუ დაივიწყებ შენს ცოდვილს დედას... (კვდება. ანნა დიდის მწუხარებით დაეცემა დედის გვამს და ქვითინებს)

ო-რ-ნ.

ყველა ისინი, რომელნიც საიმპერატორო მატარებელში ყოფილიყვნენ რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების დროს.

გაზეთები ამბობენ, რომ პეტერბურგსა და მოსკოვს შორის ტელეფონის გამართვის საქმე ჩქარა გადასწყდება და ამისათვის 10,000 მან. სესხს თხოულობენო.

უმაღლესის ბრძანებით დამტკიცებულია მარტო ერთ ხანად და ერთჯერ გამოცემა 80 მილიონის მანეთის საგირავო მომგებიანის ფურცლებისა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა გამოსაცვლელად და გადასახდელად უკვე გამოცემულის სათავად-აზნაურო ბანკის 5%-ანის გირავნობის ფურცლებისა. წესი მოგებისა ამ შემთხვევაში ისეთივე იქნება, როგორიც 1866 წ. სესხისა. სესხი გადახდილ იქმნება $36^1/_2$ წელს; ტირაჟი მოგებისა დაიწყება 1 მაისს 1890 წელს, ტირაჟი თავნის გადახდისა—1896 წელს. ხელის მოწერა ამ 80 მილიონ სესხზე მიღებულ იქმნება მომავალს შაბათს, ორშაბათსა და სამშაბათს სახელმწიფო ერთაშორისის და ვოლგა-კამის ბანკში. ხელის მოსაწერი ფული 215 მანათია ათ თუმნიან ფურცელზე 15 ნოემბრიდამ დაწყებულ სარგებლით. ამავე დღიდგან დაიწყება მდინარეობა სარგებლისა ახზე ხუთისა გირავნობის ფურცლების მიხედვით. მონაწერის ფულის შეტანა დანიშნულია ნაწილ-ნაწილ ზედ-შეკეცილ 4%-ით სახელდობრ: 15 ნოემბრის 1889 წლისა, 40 მან., 40 მან. 28 თებერვალს 1890 წელს, 55 მან. 1 მაისს, 40 მან. 1 ნოემბერს 1890 წლისას და 40 მან. 2 მარტს 1891 წელს. ფულს, შეტანილს 1890 წ. 28 თებერვალს, ზედ შეეკეცება 4%-ი სარგებელი 1889 წლის 15 ნოემბრიდამ. ყველა დროებით მიცემული მოწმობა მონაწილეა ყოველს ტირაჟში. სახელმწიფო ბანკი ამ მოწმობათა მიხედვით იძლევა სესხს მოწმობაში მოხსენებულის ფულის მანეთზე თხუთმეტს შაურს 4%-ად წელიწადში. ამ ნაირად სესხის აღება შესაძლოა მხოლოდ 1891 წლის 2 მარტამდე.

ბელგრადი. სეფე სიტყვის საპასუხო ადრესში თითქმის იგივეა გამეორებული. დასასრულ გულითადს მადლობას უხდიან ხელმწიფე იმპერატორს. რისტიჩმა გამოაცხადა: დიდად მესიამოვნა ის გარემოება, რომ ადრესში მთავრობას ნდობას უცხადებენო. სკუპშჩინის ადრესმა კარგი მოქმედება იქონია და იგივე აშკარა მაჩვენებელია, რომ სერბია რუსეთთან არის დაახლოვებას მოწადინებული.

# განცხადებანი

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

$18^7/_{12}$ წლიანი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

კარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 ოთხ-კუთხი საჟ.

დარახველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 ოთხ-კუთხი საჟ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოგზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრე ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასული: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ.

შამირახოვისა, იოსებ იეანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ.

დაისამიძეთა: ნესტორ და სამსონ მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 ოთხ-კუთხი საჟენი.

ხარაზოვისა, ანნა გაბრიელის ასულის გადასრული მიხეილ შნეიდერზედ პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ.

მიქელაძისა, ეკატერინე კონსტანტინეს ასულის: ორპირის ქუჩაზე სამოსახლო ადგილი 442 ოთხ-კუთხი საჟ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და იეანე ხეთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 ოთხ-კუთხი საჟ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ.

ზაიცევისა, ევლამპი და ელისაბედ: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ.

ქუთათელაძეთა: კლიმენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ.

მურადოვისა, თომა პაელეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 ოთხ-კუთხი საჟ.

ალიბეგოვთა: იოსებ, ალექსანდრე და იეანე ხეთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1,270 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, იეანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 ოთხ-კუთხი საჟ.

რუხაძისა, კესარი ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 ოთხ-კუთხი საჟ.

ლოდობერიძისა, ნიკოლოოზ ზაალის ძის, გადასული ეკატერინე ლოლობერიძეზედ: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ.

გაბელაშვილისა, ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოოზ ენოქის ძის: ქარვასლის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 36 ოთხ-კუთხი საჟ.

ზურგელისა, ნატალია მოსეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, და მიწა 198 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა იოსელიანისა, გიორგი ზურაბის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 ოთხ-კუთხი საჟ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: იეანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 ოთხ-კუთხი საჟ.

რუხაძისა, ვასილ ბუჭუას ძის და ახობაძისა, სტეფანე ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 116 ოთხ-კუთხი საჟ.

მესხისა, მიზარბეგ ფირანის ძის: იეანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, და მიწა 189 ოთხ-კუთხი საჟ.

მატარაძეთა, მიხეილ, იეანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 ოთხ-კუთხი საჟ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაილის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 ოთხ-კუთხი საჟ. 1 ოთხ-კუთხი ალაბი.

ხურცაძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 ოთხ-კუთხი საჟ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილლერიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1,473 ოთხ-კუთხი საჟ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8,006 ოთხ-კუთხი საჟ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 2,516 ოთხ-კუთხი საჟ.

ერისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1,200 ოთხ-კუთხი საჟ.

ამირეჯიბისა, ელისაბედ გრიგოლის ასულის: ორპირის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 162 ოთხ-კუთხი საჟ.

ალავიძეთა: ნიკოლოოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: იეანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 ოთხ-კუთხი საჟ.

ბინიაურიშვილთა: არონ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 ოთხ-კუთხი საჟ.

ბაინდურხოვისა, იეანე სიმონის ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 18 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა გერაძისა, ნიკო გლახუას ძის, გადასული სოლომონ წერეთელზედ: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 ოთხ-კუთხი საჟ.

გოგოელოვისა, იაკობ იეანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა 288 ოთხ-კუთხი საჟ.

გაბუნიასი, მიხეილ ბექანის ძის, და მაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჟ.

ყაუხჩევისა, ნინა გიორგის ასულის: იეანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 ოთხ-კუთხი საჟ.

კაპიტელაშვილთა, აბრამ არონის ძის და რუფა ფობოს ასულის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 108 ოთხ-კუთხი საჟ.

მაჩიტაძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 ოთხ-კუთხი საჟ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიელის გორაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ბაღით, და მიწა 1,800 ოთხ-კუთხი საჟ.

მახარაძისა, რომანოზ ქაიხოსროს ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. და 8 ოთხ-კუთხი არშ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: მიხეილის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 43 ოთხ-კუთხი საჟ.

ცქიტიშვილისა, ფილიპე ზაალის ძე: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 ოთხ-კუთხი საჟ.

შაშუაშვილი, შალომა აბრამის ძე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. 5 ოთხ-კუთხი ალაბი.

ელუაშვილისა, მოშე აბრამის ძე: გელათის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 89 ოთხ-კუთხი საჟ.

ბუზიაშვილთა, არონ იაკობის ძე, შამოელ, მიხაილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 ოთხ-კუთხი საჟ. და 5 ოთხ-კუთხი ალაბი.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 ოთხ-კუთხი საჟ.

ქვარიანისა, კონსტანტინე ანანიას ძის: მიხაილის და ბაზრის ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 19 ოთხ-კუთხი საჟ.

მემკვიდრეთა ქებაძისა, სოლომონ გრიგოლის ძის, გადასული ნატალია აბაშიძეზედ: იეანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 203 ოთხ-კუთხი საჟ.

კანდელაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: ტფილ. ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჟ.

უტულოვისა, მარიამ ალექსის ასულისა: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 ოთხ-კუთხი საჟ.

ჩარკვიანისა, ეკატერინა ანდრიას ასულისა: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 ოთხ-კუთხი საჟ.

ჭედიასი, პეტრე დავითის ძისა: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 ოთხ-კუთხი საჟ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 227 ოთხ-კუთხი საჟ.

კლიგულაიშვილთა, ყობო და მარდახ ისხაკის ძეთა: წულუკიძის შესახვევში, ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ.

აბულაძისა, დავით გიორგის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა $157^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ.

მახალდოვისა, ალექსანდრე ევგენის ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 ოთხ-კუთხი საჟ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოოზის ასულისა: გიმნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი—და მიწა 241 ოთხ-კუთხი საჟ.

გაბაკვისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორას ქვეშეთის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ.

გაბაკვისა, ისიდორე გიორგის ძე: ლაზრეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ.

დგებუაძისა, ნიკოლოოზ ფირანის ძის: ტფილ. ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჟ.

ჯინოშვილისა, პაელე იეანეს ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 ოთხ-კუთხი საჟ.

ისაკვის, მიხეილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 ოთხ-კუთხი საჟ.

მდივნისა, ბესარიონ მიზარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 1575 ოთხ-კუთხი საჟ.

ფიჩხაძისა, შამუელა და მანუახა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 6,3 ოთხ-კუთხი საჟ.

საფაროვისა, სალომე სიმონის ასულისა ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 ოთხ-კუთხი საჟ.

ციციაშვილისა, მიხეილ აბრამის ძის: გაგარინის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 40 ოთხ-კუთხი საჟ.

ცულეისკირისა, პეტრე ბასილას ძის: ალექსანდრეს და ტფილ. ქუჩებს შუა ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 237 ოთხ-კუთხი საჟ.

მისივე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $7^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ.

ჩარექოვის, პეტრე იოსების ძის, გადასული სტანისლავა ჩარახჩიანზედ, ქარვანსარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 ოთხ-კუთხი საჟ.